

ა.ა.ი.პ „საქართველოს რაგბის კავშირი“-ს
სადისციპლინო კომისიის სხდომის ოქმი# 32

ქ. თბილისი

2021 წლის 24 მარტი

სადისციპლინო კომისიის სხდომა ჩატარდა 2021 წლის 24 მარტს, დისტანციურ სამუშაო რეჟიმში. სადისციპლინო კომისიის სხდომა მოწვეულ იქნა კომისიის თავმჯდომარის დავალებით, სადისციპლინო კომისიის წევრებისთვის შეტყობინებისა და დღის წესრიგის გაგზავნის გზით.

სხდომას ესწრებოდა კომისიის 7 წევრი. სრკ-ს სადისციპლინო კოდექსის მე-5 მუხლის 5.11. პუნქტის თანახმად, სხდომა გამოცხადდა გადაწყვეტილებაუნარიანად, ამის გამო არცერთ დამსწრე წევრს პრეტენზია არ გამოუთქვამს.

სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრები: მირიან თავზარაშვილი, ედუარდ ნაჭყებია, ვახტანგ სამხარაძე, ლევან ჩიკვაძე, აკაკი კერესელიძე, ლაშა თავართქილაძე, ირაკლი ჩიქავა. სხდომასუძღვებოდა კომისიის თავმჯდომარე, მირიან თავზარაშვილი.

სადისციპლინო კომისიამ ზემოაღნიშნული შემადგენლობით, განიხილა მატჩის მეთვალყურის ა. ნიქაბაძის ოქმი, მატჩის მთვარი მსაჯის ლ. ბიბიჩაძის წითელი ბარათის ოქმი და მოწოდებული ინფორმაცია, მატჩის თანამსაჯის რ. გაბელაშვილის მოხსენებითი ბარათი, ამა წლის 21 მარტს, I ლიგის მატჩზე, ჭიათურის“ჭიათურა“-სა და თბ „ივერია“-ს შორის, მომხდარი ფაქტის შესახებ.

გამოარკვია:

1. თბ „ივერია“-ს მორაგბე გიორგი აფრასიძე - მატჩის ოფიციალურ პირთა სიტყვიერი შეურაცხყოფა.

სადისციპლინო კომისიამ იხელმძღვანელა სრკ სადისციპლინო კოდექსის 2.2.2 პუნქტით და მიიღო შემდეგი

გადაწყვეტილება

1. თბ „ივერია“-ს მორაგბე გიორგი აფრასიძე დისკვალიფიცირებული იქნას 10(ათი) სათამაშო კვირით, ხოლო კლუბი დაჯარიმდეს 1000(ათასი) ლარით.
2. საჯარიმო თანხის გადახდის ვადა განისაზღვროს 2021 წლის 24 აპრილამდე.
3. საჯარიმო თანხის მითითებულ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში, თბ „ივერია“-ს მიმართ ამოქმედდება სრკ-ს სადისციპლინო კოდექსის 3.3 პუნქტი.

სრკსადისციპლინო კომისიის თავმჯდომარე



/მ.თავზარაშვილი/